

No. 44807*

**Germany
and
Georgia**

Agreement between the Government of the Federal Republic of Germany and the Government of Georgia concerning the readmission and transit of persons (Readmission Agreement). Berlin, 6 September 2007

Entry into force: *1 January 2008 by notification, in accordance with article 16*

Authentic texts: *Georgian and German*

Registration with the Secretariat of the United Nations: *Germany, 7 March 2008*

**Allemagne
et
Géorgie**

Accord entre le Gouvernement de la République fédérale d'Allemagne et le Gouvernement de la Géorgie relatif à la readmission et au transit des personnes (Accord de readmission). Berlin, 6 septembre 2007

Entrée en vigueur : *1er janvier 2008 par notification, conformément à l'article 16*

Textes authentiques : *géorgien et allemand*

Enregistrement auprès du Secrétariat des Nations Unies : *Allemagne, 7 mars 2008*

* The texts reproduced below are the original texts of the agreement as submitted. For ease of reference, they were sequentially paginated. Their final UNTS version is not yet available.

Les textes reproduit ci-dessous sont les textes authentiques de l'accord tel que soumises pour l'enregistrement. Pour référence, ils ont été présentés sous forme de la pagination consécutive. Leur version finale RTNU n'est pas encore disponible.

[GEORGIAN TEXT – TEXTE GÉORGIEN]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა

და

საქართველოს მთავრობა

(შემდგომში შეთანხმების მხარეები)

სურთ რა განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობები ორ სახელმწიფოსა და მათ ხალხებს შორის,

ისახავენ რა მიზნად, წინააღმდეგობა გაუწიონ არალეგალურ მიგრაციას ევროპული ძალისხმევის სულისკვეთების შესაბამისად,

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით, შესაბამისი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფ პირთა მიღებისა და პირთა ტრანზიტის გაადვილებისაკენ საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების შესაბამისად, თანამშრომლობის სულისკვეთებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე -

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

საკუთარი მოქალაქეების მიღება

მუხლი 1

(1) შეთანხმების მონაწილე თითოეული მხარე მიიღებს პირს, რომელიც შუამდგომლობის აღმგერელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე

შესვლის ან იქ ყოფნის ამ სახელმწიფოში მოქმედ კრიტერიუმებს არ, ან აღარ აკმაყოფილებს, თუ დამტკიცდება ან დამაჯერებლად ივარაუდება, რომ მას შუამდგომლობის მიმღები მხარის მოქალაქეობა აქვს.

(2) პირველი პუნქტი ვრცელდება იმ პირზეც, რომელმაც შუამდგომლობის მიმღები მხარის სახელმწიფოს მოქალაქეობა დაკარგა შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ და არ მიუღია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა ან შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის გარანტია მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.

(3) შუამდგომლობის მიმღები მხარე შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის მიმართვის საფუძველზე მიიღებს აგრეთვე სარეადმისიო პირის უცხოეთში დაბადებულ არასრულწლოვან დაუქორწინებელ შეილებსაც, ისევე როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მის მეუღლეს, თუკი მათ შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე ყოფნის უფლება არ აქვთ და შუამდგომლობის მიმღები მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე შესვლის და ყოფნის უფლება აქვთ ან ამ უფლებას მიიღებენ და ამასთანავე სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მეუღლე ნებაყოფლობით გაემგზავრება შუამდგომლობის მიმღები მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 2

(1) სარეადმისიო პირს მიღება განხორციელდება ფორმალობების გარეშე, თუ მას გააჩნია ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედი ან არაუმეტეს ექვსი თვის ვადაგასული დოკუმენტი:

a) პირადობის მოწმობა;

b) პასპორტი;

c) სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც პირის მოქალაქეობას ადასტურებს;

(2) მე-3 მუხლში აღწერილი პროცედურა იწყება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი ან სხვა საშუალება, რომელიც მოქალაქეობას საგარეოდ აღგენენ:

a) პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ექვს თვეზე მეტი ხნის ვადაგასული დოკუმენტები.

b) პირველ პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების ასლები;

c) მართვის მოწმობები ან მათი ასლები;

d) დაბადების მოწმობები ან მათი ასლები;

e) მოწმეთა ჩვენებები;

f) შესაბამისი პირის ჩვენებები;

g) შუამგომლობის მიმღები მხარის სათანადო უწყებების მიერ ჩატარებული შესაბამისი პირის მოსმენის შედეგები;

h) ენა, რომელზეც შესაბამისი პირი ლაპარაკობს;

i) სხვა დოკუმენტები, რომლებმაც მოქალაქეობის დადგენა შეიძლება გაადვილონ.

დასახელებული დოკუმენტები მოქალაქეობის სავარაუდოდ დასადგენად მაშინაც საკმარისია, თუ მათ დროთა განმავლობაში მოქმედების ვადა გაუვიდათ.

მუხლი 3

(1) პირველი მუხლის მე-2 პუნქტში და მე-2 მუხლის მეორე პუნქტში აღწერილ შემთხვევებში, პირის მიღება რეადმისიის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე ხდება. შუამდგომლობა რეადმისიის შესახებ არსებული დოკუმენტებისა ან სარეადმისიო პირის ჩვენებების შესაბამისად, შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდეს:

- a) სარეადმისიო პირის საანკეტო მონაცემებს (გვარები, სახელები, დაბადების თარიღი და – თუკი შესაძლებელია – დაბადების ადგილი, ასევე მონაცემები შუამდგომლობის მიმღები მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის შესახებ);
- b) იმ საშუალებების ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც მოქალაქეობა დამაჯერებლად ივარაუდება;
- c) სარეადმისიო პირის თანხმობით, მითითებას ავადმყოფობით ან ასაკით გამოწვეული განსაკუთრებული დახმარების, მოვლის ან მზრუნველობის შესაძლო აუცილებლობის შესახებ;
- d) კონკრეტულ შემთხვევებში, გადაცემისას, დაცვისა და უსაფრთხოების სხვა აუცილებელ ღონისძიებებს.